განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საზღვაო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რუსუდან თედორაძე

წევრი:

ქრისტინა რზგოევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **კერძო სამართლის იურიდიული პირი -შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 245624819

სახე: პროფესიული კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 24 ოქტომბრის N 958 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი) თავმჯდომარე რუსუდან თედორაძე და წევრი ქრისტინა რზგოევა, მიმდინარე წლის 1 და 2 ნოემბერს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს საზღვაო სასწავლო ცენტრ ეკვატორში (ქ.ბათუმი).

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე ვიზიტის მიზანი იყო: დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6,მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი)
ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით (დანართი 1), რომელიც დაწესებულებას წარედგინა ვიზიტის ბრძანებასთან ერთად უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ, კერძოდ:
მოხდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხვილვა,კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის, ადამიანური რესურსების პირადი საქმეების, ვებგვერდის, კატალოგის და რეესტრის ბაზის შემოწმება და სხვა. მეორე დღეს მოხდა პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება(ინტერვიუ), რის შემდეგაც მოხდა სასწავლო ფართების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და საბიბლიოთეკო რესურსის დათვალიერება, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პრაქტიკის ობიექტი და მოხდა პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება და სხვა.
ვიზიტის დასასრულს ექსპრტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან იგრძნობოდა კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული თანამშრობლობითი დამოკიდებულება, მზაობა მიღებული რეკომენდაციების გაზიარების. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კომფორტული სამუშაო პირობებით.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

	საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

	საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;			
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთშორისო კონვენციებით და სტანდარტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. დაწესებულების საკუთრებაშია კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსი.

საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტრენაჟორი, როგორიცაა სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადილოკაციური და ავტომატური

რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი და სხვა. აღსანიშნავია, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის რეგულარული შემოწმება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში. შემოწმებაში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში არსებული სხვადასხვა ორგანიზაცია და უწყება, მაგალითად საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ასევე 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებები გადიან ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს აუდიტს, სადაც მოწმდება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საწვრთნელი გარემო.

სწორედ ეს არის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას და მის შესაბამისობას საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1ქვესტანდარტი

- **დაწესებულბამ შეცვალოს სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა კონკურსთან დაკავშირებით და შეუსაბამოს არსებულ რეალობას.**
- **დაწესებულებამ ცვლილება შეიტანოს გემბანის მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და ასახოს პრაქტიკის ის ობიექტი სადაც რეალურად ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი და უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმება.**

1.2 ქვესტანდარტი

- **კატალოგი გახადონ უფრო ინფორმაციული დაწესებულებით დაინტერესებული პირებისათვის, შინაარსობრივად ინფორმაცია პროგრამების შესახებ ციტირებულია დამტკიცებული პროგრამიდან, რაც შესაძლებელია რთულად გასაგები აღმოჩნდეს კატალოგის მიზნობრივი აუდიტორიისათვის. სასურველია, კატალოგი ვიზუალურად იყოს გაფორმებული კოლეჯის რეალური ცხოვრების ამსახველი ფოტომასალით, შეავსონ ინფორმაციით, თუ რა გზით შეიძლება კოლეჯში სწავლის დაწყება, რა პერიოდებში, დააკონკრეტონ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა.**
- **ფორმალურად განსაზღვრონ კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.**
- **განსაზღვრონ კატალოგის განახლების და გავრცელების/საჯაროობის უზრუნველყოფის პროცედურები;**

1.4. ქვესტანდარტი

- ***დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #110/ნ 2017 წლის 28 ივნისი -„საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის #127/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ამ ბრძანებაზე დაყრდნობით მონაცემები რეესტრში ასახოს ხუთ დღეში .***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

- *დაწესებულებამ შეიმუშავოს საგანამანათლებლო პროგრამისთვის ერთი სახის ბლანკი, ხოლო საწვრთნელი პროგრამისთვის განსხვავებული ნიშნის მქონე ბლანკი, მათი იდენტიფიცირების გამარტივებისა და შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით*
- *დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციებისა და შინაგანაწესის გაცნობას.*

1.6 ქვესტანდარტი

- *დაწესებულების მიერ შემუშავებულ ხარისხის დოკუმენტებში, სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმებში ასახული ნაბიჯები/აქტივობები იყოს უფრო მკაფიო და თანმიმდევრული, განისაზღვროს თითოეული აქტივობის შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რეალური ვადები, ანალიზის და შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. ეს პროცედურები განხორციელებული იყოს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურისა და დირექციის მიერ, არამედ ამ პროცესში აქტიურად ჩართონ პროგრამის ხელმძღვანელები განმახორციელებელი პირები (პროფესიული მასწავლებლები) თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.*

- *დაწესებულებამ არსებული სისტემის გაერთიანებით ,შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის ერთი სისტემა და იზრუნოს მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს ამ ნაწილში მოცემული ყველა სხვა რეკომენდაციის შესრულებას.*

2.3 ქვესტანდარტი

სასურველია კოლეჯმა ბიბლოთეკა განათავსოს ფართში სადაც იქნება ბუნებრივი განათების საშუალება.

2.5 ქვესტანდარტი

- *დაწესებულებამ შეიმუშავოს საქმის წარმოების ერთიანი წესი,რომელიც უნდა ითვალისწინებდეს* „საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ მოთხოვნებს. ვინაიდან დაწესებულება, საქმისწარმოების წესში არსებული ჩანაწერისგან განსხვავებით, აწარმოებს მხოლოდ მატერიალური სახით საქმისწარმოებას, რეკომენდირებულია საქმისწარმოების წესი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი არსებულ რეალობასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

- დაწესებულებამ საქმისწარმოების დებულებაში მკვეთრად გამიჯნოს განსახორციელებელი პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო საწვრთნელი კურსების განხორციელებისათვის;

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულებებისა და მემორანდურების აღრიცხვა და სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება.

2. 7 ქვესტანდარტი

- დაწესებულებამ უზრუნველყოს სსმ პირებისთვის სველი წერტილით შეუფერხებლად სარგებლობისათვის სათანადო პირობები.

2.9 ქვესტანდარტი

- დაწესებულების ერთწლიანი გეგმა მოიცავდეს საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ დეკლარირებულ პროფესიული განათლების ზოგად მიზნებს, თუმცა, ამავე დროს კოლეჯში ამ ზოგადი მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს, და ორიენტირებული იყოს მათ შესრულებაზე.

- ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზნს ნათლად განესაღზვროს კონკრეტული მისაღწევი შედეგი

- ერთწლიანი გეგმის შესრულების ანალიზი აკუმულირებული იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით ,რაც კოლეჯის ადმინისტრაციას გაუადვილებს ამოცანების შესრულების მონიტორინგს და გაადვილებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად გზების დასახვას.

3.3 ქვესტანდარტი

- დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას მიუთითოს მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი კურსის სახელწოდება ;
- აწარმოოს ხელშეკრულებების რეესტრი და უზრუნველყოს ყველა ხელშეკრულების სათანადო რეგისტრაცია;
- მიუთითოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის ნორმა, თუ რომელი რიცხვიდან შედის ხელშეკრულება ძალაში (კონკრეტული რიცხვიდან ან ხელმოწერის დღიდან)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

VII. დაწესებულების მისია

დაწესებულების მისია მდგომარეობს შემდეგში: შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე მეზღვაურების მომზადება, მათი შემდგომი განათლების, კვალიფიკაციის ზრდისა და დასაქმებისათვის ხელშეწყობა,

მისიის უზრუნველსაყოფად აქტიური თანამშრომლობა პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ წრესთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათალებლო დაწესებულებების ავტორიზაციიის საბჭოს 30/08/2014 #33 გადაწყვეტილებით, სადაც ცვლილებები შევიდა ზემოაღნიშნული საბჭოს 04/06/2018 წლის # 99 გადაწყვეტილებით.
ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათალებლო პროგრამა:
1. გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; III საფეხური,
2. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; III საფეხური.

ზემოაღნიშნული პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის-დირექტორის 2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით. პროგრამების დამტკიცების შემდეგ შესაბამის სტანდარტში შევიდა ცვლილება, რომელიც ასახული იქნა დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N07 (18.07.2014წ) , რომლის თანახმადაც პროფესიული სტანდარში განხორცილებული ცვლილებები აისახა შესაბამის პროგრამებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). დაწესებულება გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის ახალ პროგრამაზე გადასვლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ შესაბამისი წესით გაფორმებული თავფურცელი, პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები, წარმოდგენილია პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსების ჩამონათვალი, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი მათი კვალიფიკაციის მითითებით, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი. სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით.

ექსპერთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ერთ-ერთ ობიექტზე დასახლება ურეხში, სადაც დათვალიერებული იქნა სამაშველო ნავი, სახელოსნოები და ხანძართან ბრძოლის შესაბამისი აღჭურვილობა, რომლითაც ხდება ხანძართან ბრძოლის სიმულაცია, როგორც ადგილზე არსებულ გემის კორპუსზე, ასევე ობიექტზე მდებარე შესაბამის აღჭურვილობაზე. აღნიშნულ ობიექტი ექსპერტთა მოსაზრებით აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პრაქტიკურ კომპონენტს.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის დღიურები.შემოწმებით დადასტურდა, რომ სტუდენტები პრაქტიკას გადიან ქ.ბათუმის ნავსადგურში ხელშეკრულებით განსაზღვრულ გემებზე, რაზედაც წარმოებს შესაბამისი პრაქტიკის დღიურები. გამოცდა ტარდება თეორიულად ,ხოლო პრაქტიკულ ნაწილში გემზე, სადაც სტუდენტმა უნდა დაადასტუროს შეძენილი უნარების პრაქტიკაში გამოყენება.

.ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმებისას გამოვლენილი იქნა შემდეგი გარემოებები, კერძოდ :

სასწავლო პროგრამაზე (გემბანის რიგითი მეზღვაური) დაშვების წინაპირობად მითითებულია, რომ კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებოდა კონკურსანტს,ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ფარგლებში სასწავლო დისციპლინა „გეოგრაფია“ -ში უპირატესი შედეგებით.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ვერ იქნა დადასტურებული ეს ფაქტი და შესაბამისად ვერ მიივღეთ სათანადო განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ ენიჭებოდა უპირატესობა მითითებულ დისციპლინას.ასევე ექსპერტებს განემარტა, რომ დღემდე კონკურსს ადგილი არ ჰქონია და აღნიშნული ნორმა არ აღსრულებულა. შესაბამისად,

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შეცვალოს სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა კონკურსთან დაკავშირებით და შეუსაბამოს არსებულ რეალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

გემბანის მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, პრაქტიკის განხორციელების მისამართად მითითებულია:

- ქ.ბათუმი, შავშეთის ქ N29
- დასახლება ურეხი
- გემი „ო.ჩახვაძე.

სასწავლო დაწესებულება „ანრი"-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტ გემი ო.ჩახვაძეს 2017 წელს გაუვიდა ვადა. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად გააფორმა ხელშეკრულება „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან" (N71-07-2003 20.03.2018, რომელსაც ასევე ვადა გაუვიდა 2018 წლის 20 სექტემბერს. აღნიშნულთან დაკავშირებით განგვემარტა, რომ სასწავლებელს გაგზავნილი ჰქონდა წერილი ბათუმის ნავსადგურის დირექტორის სახელზე (N664 08.10.2018) რომლითც ითხოვს ახალი მემორანდუმის ან ხელშეკრულების გაფორმებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების პრაქტიკის გავლა (იხ.დანართი #2).

შესაბამისად, ექსპერტები იძლევიან **რეკომენდაციას, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანოს გემბანის მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და ასახოს პრაქტიკის ის ობიექტი სადაც რეალურად ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი და უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.შპს საზღვაო საწვრთნელი ცენტრის დირექტორის 2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

3.პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებებით;

4. შპს საზღვაო საწვრთნელი ცენტრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N07 (18.07.2014წ)
5.ვიზუალური დათვალიერებით;
6.ვიზიტით პრაქტიკის ობიექტზე.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი),

კატალოგში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების მისია და მიზნები, დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლიობა, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული პროგრამის მიზანი, დასაქმების სფერო, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება, დაწესებულების პარტნიორების ჩამონათვალი და ინფორმაცია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ–გვერდზე, რომლის მისამართია: http://equator.ge/catalog/catalog.pdf

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა მისი შინაარსი და გავრცელების ფორმა ვერ შეასრულებს იმ მოთხოვნებს, რასაც კატალოგი ემსახურება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ***რეკომენდაციას უწევს დაწესებულებას :***

- **კატალოგი გახადონ უფრო ინფორმაციული დაწესებულებით დაინტერესებული პირებისათვის, შინაარსობრივად ინფორმაცია პროგრამების შესახებ ციტირებულია დამტკიცებული პროგრამიდან, რაც შესაძლებელია რთულად გასაგები აღმოჩნდეს კატალოგის მიზნობრივი აუდიტორიისათვის. სასურველია, კატალოგი ვიზუალურად იყოს გაფორმებული კოლეჯის რეალური ცხოვრების ამსახველი ფოტომასალით, შეავსონ ინფორმაციით, თუ რა გზით შეიძლება კოლეჯში სწავლის დაწყება, რა პერიოდებში, დააკონკრეტონ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა.**
- **ფორმალურად განსაზღვრონ კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **განსაზღვრონ კატალოგის განახლების და გავრცელების/საჯაროობის უზრუნველყოფის პროცედურები;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
2.დაწესებულების ვებ-გვერდით - http://equator.ge/catalog/catalog.pdf

შეფასება:

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს, კერძოდ:

- გემბანის რ ი გ ი თ ი მეზღვაურის პროფესიული სტანდარტი – (111001)
- სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული სტანდარტი - (111002)

დასტურდება:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიულ განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი და პროფესიული სტანდარტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის N07 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი წესები“,რომელითაც

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები. (იხ .დანართი#3)

ზემოაღნიშნული წესების განხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდ გარემიოებები: კერძოდ,

<u>მუხლი 8.</u> <u>სტუდენტის სტატუსის მოპოვება (პირის აღრიცხვა) პუნქტი 2. მონაცემები ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ,დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კალენდარული დღისა ადმინისტრაციას შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.</u> რეესტრის წარმოების წესში შესული ცვლილების გათვალისწინებით ***ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა,რომ ეს ჩანაწერი შეიცვალოს და დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #110/ნ 2017 წლის 28 ივნისი - „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის #127/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ამ ბრძანებაზე დაყრდნობით მონაცემები რეესტრში ასახოს ხუთ დღეში .***

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითი პრინციპით შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პირადი სააქმეები, კერძოდ:

- მოქმედი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
- პროფესიული კვალიფიკაცია მინიჭებული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

- არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე.

აგრეთვე შემოწმდა უწყისები და დიპლომის გაცემის არღიცხვის ჟურნალი.

შემოწმებით გამოვლინდა,რომ დაწესებულება იცავს კანონმდებლობით და შიდარეგულაციებით დადგენილ წესებს და ნორმებს. მონიტორინგის ვიზიტისთვის დაწესებულებას არ ჰქონია მიღებული განათლების აღიარებისა და სტატუსის შეწყვეტის შემთხვევა.
ასევე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების ბრძანებები, ხელშეკრულებები ,მათ შორის არასრულწლოვანი სტუდენტების. გამოვლინდა,რომ დაწესებულება იცავს კანონმდებლობით და შიდარეგულაციებით დადგენილ წესებს და ნორმებს, მგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია ,რომ პროფესიული სტუდენტების პირად საქმეში გვხვდება საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის განცხადების ორი სხვადასხვა ბლანკი : ერთი სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის ,ხოლო მეორე საწვრთნელ კურსზე .

სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირად საქმეში ,ასეთი ორი შემთხვევა დაფიქსირდა,კერძოდ, საწვრთნელ კურსზე ჩარიცხვის ბლანკზე აპლიკანტის მიერ დაფიქსირებულია სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის განაცხადი .

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ადნინისტრაციის წარმომადგენელს გაირკვა ,რომ კოლეჯს და სასწავლო საწვრთნელ ცენტრს,რომელიც ფუნქციონირებს ამავე შენობაში აქვს განაცხადის სხვადასხვა ბლანკი ,მაგრამ ეს ბლანკები ვიზუალურად თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და მთი განმარტებით სავარაუდოდ ეს ფაქტი გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით,მოხდა ბლანკების მექნიკურად არევა .(იხ.დანართი#4)

<u>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ შეიმუშავოს საგანამანათლებლო პროგრამისთვის ერთი სახის ბლანკი, ხოლო საწვრთნელი პროგრამისთვის განსხვავებული ნიშნის მქონე ბლანკი, მათი იდენტიფიცირების გამარტივებისა და შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით.</u>

ექსპრეტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა evet. emis.ge-ის ბაზა.აღმოჩნდა,რომ დაწესებულება სწორად და სრულყოფილად აქვს შეყვანილი ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება (მათ შორის არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან). გასაუბრების დროს სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. გასაუბრებით აღმოჩნდა ,რომ პროფესიულ სტუდენტებს ზოგადად წარმოდგენა აქვთ სასწავლების შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუნენტაციაზე, მაგრამ გაუჭირდათ დაკონკრეტება თუ რა სანქციებს/ან წახალისებას ითვალისწინებს ეს რეგულაციები. მათ განაცხადეს,რომ რეგულაციები ზეპირად გააცნეს და მათ ამ პუნქტებზე არ გაუმახვილებიათ ყურადღება.

პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებებში და პირად საქმეში არ აღმოჩნდა არანაირი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, დაწესებულების მიერ შინაგანაწესის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

რეგულაციების გაცნობის ფაქტს, ამიტომ ***ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციებისა და შინაგანაწესის გაცნობას.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის N07 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი წესით“
2.პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
3.პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრებით;
4.საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ამ საკითხთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტთან–ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“. ასევე, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაციის წევრ კოლეჯებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის N07 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი წესები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტთან–ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე (29.05.2014).
3. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან თანამშრომლობის მემორანდუმი (28.06.2013).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად დაწესებულებაში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც სხვადასხვა (გარე და შიდა) მექანიზმს მოიცავს: ხარისხის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლებელში წელიწადში არანაკლებ ერთხელ ტარდება ხარისხის სისტემის შიდა და გარე აუდიტი, რომლის დროსაც შემოწმებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა ფუნდამენტური პროცესი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილების პროცესი.
ხარისხის სისტემის სამსახურის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარები :
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების;
2.პროფესიული სტუდნეტის მიერ სასწავლო კურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების;
3.პროფესიული სტუდნეტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების;
4.კურსდამთავრებულთა ანკეტა;
5.პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ ცენტრის რესურსის, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განხორცილებისა და განვითარების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

ექსპერთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა აღნიშნული კითხვარები,აღმოჩნდა,რომ ეს კითხვარები შევსებულია (2017წ;2018წ),მაგრამ კითხვარების/ანკეტების ანალიზის ერთიანი ფორმა არ ააქვთ შემუშავებული და მონაცემები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მრავალფეროვნების მიუხედავად ,სასწავლებელში ხარისხის სისტემის ერთიანი ანალიზი არ არსებობს ,ის გაბნეულია სხვადსხვა დოკუმენტებში, რაც აძნელებს ერთიანი სურათის აღქმას.

მასწავლებლებთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე დოკუმენტალურად და პრაქტიკულად მუშაობს, ფაქტობრივად, მხოლოდ ხარისხის სამსახური ამიტომ ***ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა:***

- ***დაწესებულების მიერ შემუშავებულ ხარისხის დოკუმენტებში, სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმებში ასახული ნაბიჯები/აქტივობები იყოს უფრო მკაფიო და თანმიმდევრული, განისაზღვროს თითოეული აქტივობის შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რეალური ვადები, ანალიზის და შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. ეს პროცედურები განხორციელებული იყოს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურისა და დირექციის მიერ, არამედ ამ პროცესში აქტიურად ჩართონ პროგრამის ხელმძღვანელები განმახორციელებელი პირები (პროფესიული მასწავლებლები) თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.***

- ***დაწესებულებამ არსებული სისტემის გაერთიანებით ,შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის ერთი სისტემა და იზრუნოს მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს ამ ნაწილში მოცემული ყველა სხვა რეკომენდაციის შესრულებას.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „შპს „სსსც ეკვატორის“ მიერ შემუშვებული შეფასებისა და გამოკითხვის ანკეტა-კითხვარები;
2. „შპს „სსსც ეკვატორში“ პროექტების მართვის პროცესის პროცედურა“ (ნდ №2–020101–11–ქ 03.09.2009);
3. „შპს „სსსც ეკვატორის“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარების პროცესის პროცედურა“ (ნდ №2–020101–3–ქ 01.10.2009);
4. შპს „სსსც ეკვატორის“ ხარისხის სახელმძღვანელო“ (ნდ №2–020101 21.10.2012)
5. „შპს „სსსც ეკვატორის“ ხარისხის სისტემის ანალიზი“. (ნდ №2–020101–13–ქ 27.01.2014)
6. შპს „სსსც ეკვატორის“ და შპს „რრ-ვესტჯორჯიას“ შორის გაფორმებული 2016 წლის 16 თებერვლის #310-04-16 . ხელშეკრულება მომსახურეობისა და ხარისხის სისტემის აუდიტის შესახებ.
7. ISO 9001:2008 სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატი #160697026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2017 წლის 31 ივლისს შევსებულ თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო, რომ დაწესებულება ფლობდა ორ ფართს. 1. ბათუმი, შავშეთის ქ. 29 –673 კვ.მ.(ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის განხორციელება) 2. ხელვაჩაური, სოფელი ურეხი – 300 კვ.მ.(სასწავლო პრაქტიკის ობიექტი) ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა ზემოაღნიშნული ფართების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2014 წლის 14 ივლისის ,,უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება", რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას 6 წლის ვადით, კერძოდ, 2020 წლის 31 ივლისამდე აქვს აღნიშნული ფართის ფლობის და სარგებლობის უფლება.

ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა იჯარის შესახებ 2010 წლის 5 დეკემბრის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც არის 2020 წლის 31 ივლისამდე, აღნიშნული ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. იჯარის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელვაჩაურში, სოფელ ურეხში 300 კვ.მ ფართი. რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. (აღნიშნულ ფართს დაწესებულება იყენებს სასწავლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორცილებისთვის)

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ბათუმი, შავშეთის ქ. 29	673
2	ხელვაჩაური, სოფელი ურეხი	300

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

1.2017 წლის 28 სექტემბრის ,,უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით“

2.2014 წლის 14 ივლისის ,,უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით“ და 2014 წლის 18 ივლისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი [redacted]

3.2010 წლის 5 დეკემბრის ,,უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით“, ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]

4.ვიზუალური დათვალიერებით

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სასწავლო ფართები აღჭურვილია სწავლისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარით, მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ყველა პრაქტიკული ლაბორატორია აღჭურვილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. დაწესებულებას გააჩნია თანამედროვე აღჭურვილობა და სიმულატორები (Bridge Team, ECDIS და სხვა), რათა განახორციელოს პროგრამით გათვალისიწნებული წვრთნა.

დაწესებულება დამატებით ფლობს 300 კვ.მ ფართს, რომელსაც იყენებს პრაქტიკული მეცადიობების ე.წ. სიმულაციური წვრთნების ჩასატარებლად. აღნშიშნულ ფართზე განთავსებულია/ დამონტაჟებულია რკინის კონტეინერები,რომელიც ქმნის გემის იმიტაციას, ხოლო პროფესიულ სტუდნეტებს უტარდებათ წვრთნა ცეცხლის ჩაქრობაში. ამისათვის იმვე ტერიტორიაზე აშენებულია შენობა, რომელშიც არის განთავსებული საშხაპეები,ერთი აუდიტორია,პროცედურების თეორიულად ასახსნელად და ერთი ოთახი სადაც ინახება ინვენტარი და სამოსი, რომელიც გამოიყენება ცეცხლის ჩასაქორბად,შენობას მიეწოდება ელექტრო ენერგია. აღნნიშნულ ფართზე განთავსებულია აუზი და სამაშველო მცირე ნავი ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის, ხოლო წყლის მიწოდება ხდება სპეცილურად დამონტაჟებული ელექტრო მოწყობილობით, რომლის კანონიერი ფლობაც უდასტურდება დაწესებულებას ფინანსური დოკუმნეტაციით.
შედგა ინტერვიურება პრაქტიკის ინსრუქტორთან, ვიზულური დათვალიერებითა და ინსტრუქტორთან გასაუბრების შედგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული ბაზა უზრუნველყოფს საწარმოო პერაქტიკის დაგეგმილი აქტივობების რელიზებას.

დასტურდება:

1.ვიზუალური დათვალიერებით;
2.საინვენტარიზაციო უწყისებით;
3.მიღება-ჩაბარების აქტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

4.გაფორმებული მემორანდუმითა და ხელშეკრულებით;
5.ინტერვიუებით პრაქტიკის ინსრუქტორთა.

შეფასება:

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შენობაში, რომელშიც განთავსებულია დაწესებულება, არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ელექტროენერგია დაწესებულებას მიეწოდება ქალაქის ელექტრო ქსელის მეშვეობით. დაწესებულებას აქვს დამოუკიდებელი (გენერატორი) ელექტრო ენერგიის მიწოდების წყარო. შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა და ასევე დამონტაჟებულია კონდიცირება/გათბობის სისტემა. არის სანიტარული ნორმების შესაბამისი სველი წერტილები. სასწავლო ოთახები განლაგებულია ისე, რომ ხდება მათი ბუნებრივი განათება.

დასტურდება:

1.ვიზუალური დათვალიერება.
2.სასაქონლო ზედნადებები;
3.საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
4.მიღება-ჩაბარების აქტები;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „სსსც ეკვატორში" ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია ოთახი, სადაც განლაგებულია მაგიდები, ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერი–ბიბლიოთეკარისთვის და მომხმარებელთათვის, წიგნების კარადები, კატალოგი (მყარი და ელექტრონული). საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი; შემუშავებულია და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკაში მოქცევისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები,რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და ფილმოთეკა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას. ინვენტარიზაციის წინგნში ვიზიტის დროს დაფიქსირდა 377 წიწგნი და 21 CD-R. რომელიც დამუშავებულია საბიბლოთეკო წესის შესაბამისად.

სასწავლო ფართებისაგან განსხვავებით ბიბლიოთეკაში არ არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა,თუმცა დამატებითი განათლება უზრუნველყოფილია. ***ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია: სასურველია კოლეჯმა ბიბლოთეკა განათავსოს ფართში სადაც იქნება ბუნებრივი განათების საშუალება.***

დასტურდება:

1. ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
2. ბიბლიოთეკის კატალოგები;
3. შპს „სსსც ეკვატორის" ბიბლიოთეკის დებულება ნდ №2-010116 ;
4. სასაქონლო ზედნადებები;
5. ნაჩუქრობის აქტები;
6. შპს „სსსც ეკვატორის" დირექტორის ბრძანება №004/07.02.2014. ბიბლიოთეკარის დანიშვნის შესახებ;
7. ვიზუალური დათვალიერება.
8. ვებ–გვერდი www.equator.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, მის მართვაში აქტიურად გმოიყენება ITC გლობალურ და ლოკალურ ქსელში ჩართული 27 კუთვნილი კომპიუტერი და 5 კომპლექტი კაპიტნის ხიდურის – BTM–ის ტრენაჟორის შემადგენლობაში. დაწესებულების ბალანსზე არსებული სულ 32 კომპიუტერიდან, სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია 27 კომპიუტერი ,ხუთი კი ადმინისტრაციის საქმინობისთვის .დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტი. დაწესებულების ბალანსზეა პრინტერები, ქსეროქსის აპარატები, პროექტორები, ფიქსირებული და მობილური ტელეფონები და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება.
2. შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2014 წლის 10 ივნისს დამტკიცებული ნუსხა კომპიუტერებისა და პერიფერიული მოწყობილობების გადანაწილების შესახებ;
3. შესყიდვის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- ■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „სსსც ეკვატორში“ შემუშავებულ აქვს საქმისწარმოების დებულება ,მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დაწესებულება აწარმოებს გასული და შემოსული კორესპონდენციის და ბრძანებების რეგისტრაციის,გასული და შემოსული დოკუმენტაციის ნუმერაცია და რეგისტრაცია თანხვედრაშია ერთმანეთთან.
პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების, პროფესიული მასწავლებლის და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვა დოკუმენტაციის გატარება ჟურნალში არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

ხორციელდება დაწესებულების მხრიდან. თუმცა ამის ვალდებულება საქმისწარმოების დებულების მიხედვით არ აქვთ.

საქმისწარმოების დებულების განხილვის დროს ექსპრეტთა ჯგუფის ყურადღება მიიქცია ჩანაწერმა, **„გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა წარმოებს ასევე ელექტრონულ ჟურნალში“.** *შემოწმების შედეგად არ დადასტურდა ელექტრონული ჟურნალის წარმოება, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა,რომ დაწესებულება ელექტრონულ ჟურნალს აწარმოებს სასწავლო საწვრთნელ კურსზე,ხოლო სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის არ გამოუყენებიათდა ეს მხოლოდ საქმისწარმოების დებულებაში არის ჩანაწერის სახით და მხოლოდ მატერიალური სახით აწარმოებნ აღრიცხვას.*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

დაწესებულებამ შეიმუშავოს საქმის წარმოების ერთიანი წესი,რომელიც უნდა ითვალისწინებდეს „საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ მოთხოვნებს.

ვინაიდან დაწესებულება, საქმისწარმოების წესში არსებული ჩანაწერისგან განსხვავებით, აწარმოებს მხოლოდ მატერიალური სახით საქმისწარმოებას, რეკომენდირებულია საქმისწარმოების წესი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი არსებულ რეალობასთან

- ***დაწესებულებამ საქმისწარმოების დებულებაში მკვეთრად გამიჯნოს განსახორციელებელი პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო საწვრთნელი კურსების განხორციელებისათვის;***

- ***დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულებებისა და მემორანდურების აღრიცხვა და სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „სსსც ეკვატორში“ შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი, საქმე №01-11;
2. შპს „სსსც ეკვატორიდან“ გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი, საქმე №01-13;
3. შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის პირად შემადგენლობასთან დაკავშირებული ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საქმე №01-04; 4. . შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

განათლების განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებული ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საქმე №01-07;

4. შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის საწვრთნელი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საქმე №01-09;

5. შპს „სსსც ეკვატორის“ საქმისწარმოების სამსახურის დებულება. ნდ №2-010108;

6. შპს „სსსც ეკვატორის“ დოკუმენტური უზრუნველყოფის ინსტრუქცი. ნდ №2–040101

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სათანადო სტრუქტურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა, ასევე გამოკრულია ევაკუაციის ღონისძიებების შესახებ ინსტრუქცია. შენობის ყველა სართულსა და ფლიგელში განთავსებულია ცეცხლჩამქრობი საშუალებები (სულ 10 ერთეული) რომელიც არის დამუხტული და ვარგისიანობის ვადა დადასტურებული . შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა, გაწერილია პასუხისმგებლობები.

კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და შემდგომი დახმარების თანამდებობრივი ინსტრუქციები ამ ღონისძიებების გატარებაზე დირექტორის ბრძანებით პასუხისმგებელობა ეკისრებოდა სამედიცინო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელს. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილია საჭირო რაოდენობის პირველადი დახმარების მედიკამენტები და აუცილებელი საშუალებები. დაწესებულებაში გამოყოფილია პუნქტი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აყვანილია დაცვის სამი თანამშრომელი და მათ ასევე დირექტორის ბრძანებით გაწერილი აქვთ თანამდებობრივი ინსტრუქციები . დაწესებულებაში ქცევის წესები გაწერილია შინაგანაწესში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.
ექსპერტთან ჯგუფის მოსაზრებით ზემოაღნიშნულ ინსტრუქციებში არ იკვეთებოდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ვიზიტზე ექსპერტების მხრიდან განემარტა დაწესებულებას.დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულებამდე მოახდინა რეაგირება, გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და შეიმუშავა ერთიანი დოკუმენტი:***შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის მ/შ ბრძანება #18/კ 02/11/2018-ით, დამკიცდა ერთიანი დოკუმენტი "წესრიგის დაცვის,სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები" (იხ.დანართი #6).***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.შპს„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დირექტორის მ/შ ბრძანება #18/კ 02/11/2018წესრიგის დაცვის,სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“
2.შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანება №024/09.09.2011 სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტორის აყვანის შესახებ;
3.შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანება №012/20.06.2014. პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ღონისძიებებზე და პერსონალის შესაბამის სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
4.შპს „სსსც ეკვატორის“ შინაგანაწესი. ნდ №2-010102–ქ;
5.ცეცხლჩამქრობი ინვენტარისა და საშუალებების, მედიკამენტების შეძენის დოკუმენტაცია;
6.პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
7. შპს „სსსც ეკვატორის“ ევაკუაციის გეგმა
8.ვიზუალური დათვალირება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთა გადაადგილებისთვის სათანადო პიროებები: დამონტაჟებულია პანდუსები და არსებობს სათანადოდ მოწყობილი სველი წერტილი, თუმცა ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტების მოსაზრებით სველი წერტილის შესასვლელი კარის სრულყოფილად ფუნქციონირებას ხელს უშლის ხელსაბანი ნიჟარა, რის გამოც კარი ბოლომდე ვერ იღება და სავარუდოდ ეტლით მოსარგებლე პირს გაუჭირდება სველი წერტილით სარგებლობა. ექსპერტების რეკომენდაციაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს სსმ პირებისთვის სველი წერტილით შეუფერხებლად სარგებლობა, რაც გამოიხატება კარის სრულად გაღების უზრუნველყოფაში. თუმცა აღსანიშნავია,რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების საშტატო განრიგი ითვალისწინებს ასეთი პირების მომსახურე პერსონალს. აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მომსახურება, დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვთ დაცვის სპეციალისტებს. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტიც,რომ განხორციელებადი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე და სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად: პირის, მათ შორის შშმ პირის მიერ სასწავლო პროგრამის გავლის სურვილის შემთხვევაში, გავლილი უნდა ჰქონდეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი, სამედიცინო შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია:

- **დაწესებულებამ უზრუნველყოს სსმ პირებისთვის სველი წერტილით შეუფერხებლად სარგებლობისათვის სათანადო პირობები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დასტურდება:

1. შპს "სსსც ეკვატორის" დირექტორის ბრძანება №004/ა, 04.03.2014. საშტატო განრიგის შესახებ;
2. დაცვის თანამშრომლის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
3. ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა, შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ. ვებგვერდის განახლება ხდება რეგულარულად.

რაც შეეხება, საგანმანათლებლო პროგრამებსა და შიდა ნორმატიულ აქტებს, მასზე წვდომა ქონდა დაინტერესებულ პირს მხოლოდ შესაბამისი პაროლის ცოდნის შემთხვევაში.

<u>ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მოხსნა შეზღუდვა წვდომასთან დაკავშირებით .</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერებით.

2.დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 1 ივლისის N105 ბრძანებით ,,ვებგვერდის განახლებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს გრძელვადიანი (6 წელი) და ერთწლიანი სტრატეგიული გეგმები რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან . ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არის დეკლარაციული ხასიათის, კერძოდ ასახულია მხოლოდ სტრატეგიული მიზანი და მისი შესრულების პერიოდი, წლების მითითებით. სტრატეგიულ დოკუმენტებში ნათლად არ არის გამოკვეთილი თუ რა კონკრეტული შედეგის მიღწევას ემსახურება ესა თუ ის მიზანი, თუმცა განსაზღვრულია მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იქნა გასული წლების ერთწლიანი გეგმის შესრულების ანალიზი, კოლეჯის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა ვერ წარმოადგინა ერთიანი დოკუმენტის სახით არსებული სამოქმედო გეგმის ანალიზი,თუმცა გეგმის შესრულების სხვადასხვა ფრაგმენტები გაბნეულია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია:

- **დაწესებულების ერთწლიანი გეგმა მოიცავდეს საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ დეკლარირებულ პროფესიული განათლების ზოგად მიზნებს, თუმცა, ამავე დროს კოლეჯში ამ ზოგადი მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს, და ორიენტირებული იყოს მათ შესრულებაზე.**

- **ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზნს ნათლად განესაღზვროს კონკრეტული მისაღწევი შედეგი**

- **ერთწლიანი გეგმის შესრულების ანალიზი აკუმულირებული იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით ,რაც კოლეჯის ადმინისტრაციას გაუადვილებს ამოცანების შესრულების მონიტორინგს და გაადვილებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად გზების დასახვას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სტარტეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმებით;

შეფასება:

- ■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული და შესწავლილი იქნა შპს სსსც „ეკვატორში" დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციათა შესაბამისობა. შპს სსსც „ეკვატორში" ადმინისტრაცია , პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი და დამხმარე პერსონალი დაკომპლექტებულია 16 თანამშრომლით.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყველა სტრუქტურული ერთეულის თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის და შიდარეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად .

<u>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება ,რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „სსსც ეკვატორში" პერსონალის მიღებისა და მომზადების პროცესის პროცედურა. წდ №2-020101–10–ქ;
2. დირექტორის ბრძანებები დანიშვნის შესახებ;
3 საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, შემოწმების შედეგად აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები.

ამჟამად კოლეჯი ანხორციელებს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას-გემბანის მეზღვაური ,რომელზედაც სწავლების კურს გადის 9 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კურსი ხორციელდება 9 პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ, რომელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამისია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურება,რომლის დროს დადასტურდა მათ მიერ საწავლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნის და უნარების ფლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.შპს ,,სსსც ეკვატორში" მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების შერჩევის ინსტრუქციით ნდ №2-010121.

2. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

3ინტერვიუებით

4.საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge

შეფასება:

- ■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა განხორციელდა 2014 წელს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ შემუშავებულ ნორმატიულ დოკუმენტებთან. პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და გამოცემულია ბრძანებები მათი დანიშვნის შესახებ. პროფესიული მასწავლებელების ხელშეკრუელებების შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: ხელშეკტულებები პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია „შრომის კოდექსის" 6 მუხლის 9 პუნქტში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების დაცვით,თუმცა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი 2018წ}

1. ხელშეკრულებები არ არის დანომრილი და არ წარმოებს მათი აღრიცხვა/რეესტრი; (დანართი#7)
1.არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, თუ რომელი კურსის ჩასატარებლად დაქირავებულია მასწავლებელი;
2.არ არის მითითებული ხელშეკრუელბის ძალაში შესვლის თარიღი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა . დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას:
1.მიუთითოს მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი კურსის სახელწოდება ;
2. აწარმოოს ხელშეკრულებების რეესტრი და უზრუნველყოს ყველა ხელშეკრულების სათანადო რეგისტრაცია;
3.მიუთითოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის ნორმა, თუ რომელი რიცხვიდან შედის ხელშეკრულება ძალაში (კონკრეტული რიცხვიდან ან ხელმოწერის დღიდან)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.დირექტორის ბრძანებით;

2.დაწესებულების შინაგანაწესით

3.პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით

4.პროფესიული მასწავლებლების ხელშეკრულებით

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცლად;
დანართით 2 – წერილი მემორანდუმის შესახებ - 3 ფურცლად;
დანართი 3 –მარეგულირებელი წესები- 6 ფურცლად;
დანართი 4 - სტუდენტის ჩარიცხვის განცხადების ბლანკი- 1 ფურცლად;
დანართი 5 - პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება-2 ფურცლად;
დანართი 6 - უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები-4 ფურცლად
დანართი 7 - პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება-5 ფურცლად
სულ 23 ფურცელი (ჩაბარდა დასკვნის პროექტთან ერთად)
თარიღი 13/12/2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: